

დურგალი 040952
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

წინამდებარე პროფესიულ სტანდარტში აღწერილია ხის დამუშავების სფეროს ერთ-ერთი წამყვანი პროფესიის დურგლის პროფესიული საქმიანობის თანამედროვე დონის მოთხოვნები.

პროფესიული სტანდარტი ადგენს ძირითად მოთხოვნებს დურგლის პროფესიის საქმიანობაზე. იგი გამოიყენება:

- * პროფესიული კვალიფიკაციების მისანიჭებლად;
- * პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის შესამუშავებლად;
- * პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამღლების სასწავლო პროგრამების შესამუშავებლად.

დურგლის საქმიანობის სფეროს წარმოადგეს მერქანი - ერთერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსი. იგი უძველესი კონსტრუქციული

მასალაა, რომელსაც ადამიანთა საზოგადოება იყენებდა ადრეული პერიოდიდან. კაცობრიობის მატერიალური კულტურის განვითარება მჭიდროდა დაკავშირებული მერქნის სულ უფრო მზარდ გამოყენებასთან ყოფა-ცხოვრებაში, მშენებლობაში, ხელოვნებასა და სხვა მრავალ დარგში.

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა გააფართოვა მერქნის გადამუშავების შესაძლებლობები და ამჟამად მისი უფრო რაციონალურად გამოყენებისთვის მასიური მერქნისაგან მიღებული დახერხილი მასალების, ნამზადებისა და დეტალების გვერდით გამოიყენება თვისებებშიცვლილი მერქნის სახეებიც – მერქნის ბოჭკოსა და ბურბუმელის ფილების, შპონის, ფანერის, ნაფოტის და მოდიფიცირებული მერქნის სახით. დამზარე მასალები ფისების, წებოების, ლაქების და საღებავების სახით. ნახევარფაბრიკატებისა და ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიური პროცესები მოითხოვს შესაბამისი ხელის ინსტრუმენტების და მანქანა-დანადგარების მუშაობის პრინციპების ცოდნას.

II. დასაქმების სფერო

პროფესიონალი დურგალი მზადაა შეასრულოს მისი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო როგორც სახელმწიფო ხის დასამუშავებელ საწარმოში, რომელიც დაკავებულია საავიჯო და სამშენებლო ნაკეთობების წარმოებით, ასევე ნებისმიერ კერძო საწარმოსა და უცხოურ ფირმაში. შესაძლებელია თვითდასაქმება და ინდივიდუალური მეწარმეობა.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

დურგალის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი (III, IV და V) და თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი საკვალიფიკაციო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

დურგალის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას.
ენიჭება მესამე საფეხურის დურგლის კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

დურგალის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის 50% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 50% სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას.
ენიჭება მეოთხე საფეხურის დურგლის კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

დურგალის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის 50% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 50% სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას.
ენიჭება მეხუთე საფეხურის დურგლის კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

V. დურგლის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის აღწერი

III საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულეული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;</p>	<p>იცის, რომ პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულებასა და სამუშაო პროცესში კოლეგებთან ურთიერთობაზე. ზედამხედველობს და აკონტროლებს როგორც არასტანდარტული, ასევე სტანდარტული ოპერაციების შესრულებას და ხშირად მათ კომბინირებას. იცის შესწავლილი აქვს სატყეო საქონლის სახეები და მათი ფიზიკურ-მექანიკურ თვისებები. შეუძლია ესკიზებისა და ნახაზების წაკითხვა და გაგება. ხის პროდუქციის დადგენილი ხარისხის განსაზღვრა.სადურგლო ნაკეთობის ესკიზისა და მარტივი ნახაზის შედგენა. საბაზო დონეზე ფლობს პროფესიულ სიტყვათა მარაგს, ავეჯის ისტორიასა და დიზაინს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>მესამე საფეხურის დურგალს პრაქტიკულად უკვე შეუძლია ისეთი სამუშაოების შესრულება, რომელიც მოითხოვს ხის მასალის გაზომვას, ხელის პნევმატური, მექანიკური და ელექტრო იარაღების გამოყენებას მარტივი სადურგლო ნაკეთობის დასამზადებლად.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია მუშაობის შეფერხების მიზეზების დადგენა, ხელსაწყოებისა და მჭრელი იარაღების ტექნიკური პასპორტისა და საექსპლუატაციო ინსტრუქციების გამოყენება, ხელმძღვანელთან კონსულტაციის შემდეგ შეფერხების მიზეზების დადგენა და დასკვნის გამოტანა მათ აღმოსავლხვრელად.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის</p>	<p>აქვს პროფესიულ საკითხებზე დეტალური წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი კოლეგებთან და ხელმძღვანელთან. შეიძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყაროებიდან მოიძიოს და გამოიყენოს შესაბამისი ინფორმაცია წარმოების ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფისთვის.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>აქვს უნარი და ნებისყოფა განაგრძოს პროფესიული ზრდა გამოცდილი ხელმძღვანელობის მეთვალყურეობით.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, კმაყოფილია საკუთარი ხელით დამზადებული პროდუქციით.</p>

IV საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>შეუძლია თანამედროვე ხის დასამუშავებელი მანქანა-დანადგარებით და პოზიციური მანქანა –იარაღებით მუშაობა. აანალიზებს წუნისა და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მიზეზებს და მონაწილეობს მათი აღმოფხვრისათვის დაგეგმილი ღონისძიებების შემუშავებაში.</p> <p>ახდენს ტექნოლოგიური პროცესების მატერიალური დანახარჯების ნორმატივების გაანგარიშებას.</p> <p>შეუძლია ხის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების ეკონომიკური გაანგარიშება. ადგენს ნაკეთობის დასამზადებლად საჭირო ნედლეულისა და დამხმარე მასალების სპეციფიკაციას, მათ ღირებულებას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული</p>	<p>შეუძლია ხის დამუშავების ინჟინერიის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება პრობლემების შემოქმედებთად გადასაწყვეტად. ატარებს ნაკეთობის სარესტავრაციო და სარემონტო სამუშაოებს.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია წარმოებაში წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად ტექნოლოგიური ციკლის ფუნქციონირების მახასიათებლების დადგენა. აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების სტანდარტული მეთოდებით ამოცნობის და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის გამოტანის უნარი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>აქვს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის კარგი უნარი და შეუძლია გუნდის ეფექტური მართვა; ახორციელებს ურთიერთობას გუნდსა და საწარმოს ადმინისტრაციას შორის.</p> <p>შეუძლია მშობლიურ და ერთ-ერთ უცხოურ ენაზე სრულყოფილი კომუნიკაცია. ეფექტურად იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p>

სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია შემდგომი განათლების მიღების მიმართულების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. ფლობს უახლესი ინფორმაციის გადაამუშავების მეთოდებს პროფესიული ინტერესების გასაღრმავებლად და სამუშაო პროცესში დასანერგად. შეუძლია გაითავისოს და მართოს ინოვაციური იდეების დანერგვის პროცესი.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	მონაწილეობს მასალების ხარჯისა და შრომატევადობის შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებების რეალიზაციაში. აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება პროდუქციის ხარისხის მიმართ და იგივეს მოითხოვს სხვა თანამშრომლებისგან. აქვს არასტანდარტულ სიტუაციაში ადაპტაციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. განვითარებული აქვს სივრცითი წარმოსახვის უნარი;

დურგალის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>შეუძლია თანამედროვე ხის დასამუშავებელი მანქანა-დანადგარებით და პოზიციური მანქანა –იარაღებით მუშაობა. აანალიზებს წუნისა და დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების მიზეზს და მონაწილეობს მათ აღმოსაფხვრელად დაგეგმილ ღონისძიებებში.</p> <p>ახდენს ტექნოლოგიური პროცესების მატერიალური დანახარჯების ნორმატივების გაანგარიშებას.</p> <p>შეუძლია ხის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების ეკონომიკური გაანგარიშება.</p> <p>ადგენს ნაკეთობის დასამზადებლად საჭირო ნედლეულისა და დამხმარე მასალების სპეციფიკაციას, მათ ღირებულებას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p>შეუძლია ხის დამუშავების ინჟინერიის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p> <p>შეუძლია ნაკეთობის სარესტავრაციო და სარემონტო სამუშაოების ჩატარება.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია წარმოებაში წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანების გადასაჭრელად ტექნოლოგიური ციკლის ფუნქციონირების მახასიათებლების დადგენა.</p> <p>აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი პრობლემების სტანდარტული მეთოდების გამოყენებით ამოცნობის და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის გამოტანის უნარი.</p>

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის	აქვს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის კარგი უნარი და შეუძლია გუნდის ეფექტური მართვა; ახორციელებს ურთიერთობას გუნდსა და საწარმოს ადმინისტრაციას შორის. შეუძლია მშობლიურ და ერთერთ უცხოურ ენაზე სრულყოფილი კომუნიკაციის გამხორციელება. ეფექტურად იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია შემდგომი განათლების მიღების მიმართულების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. იცის უახლესი ინფორმაციის გადამუშავების მეთოდები პროფესიული ინტერესების გასაღრმავებლად და სამუშაო პროცესში დასანერგად. შეუძლია გაითავისოს და მართოს ინოვაციური იდეების დანერგვის პროცესი.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	მონაწილეობს მასალების ხარჯისა და შრომატევადობის შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებებში. არის მომთხოვნი პროდუქციის ხარისხის მიმართ და იგივეს მოითხოვს სხვა თანამშრომლებისგან. აქვს ნებისმიერ არასტანდარტულ სიტუაციაში კარგი ადაპტაციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. განვითარებული აქვს სივრცითი წარმოსახვის უნარი;